## საქართველოს მთავრობის

**დადგენილება №39**

**2004 წლის 21 მაისი**

**ქ. თბილისი**

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანდართული დებულება.
2. ამ დადგენილების ამოქმედებიდან ორ თვეში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამინისტროს ზოგიერთი ტერიტორიული ორგანოს გარდაქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიულ ორგანოდ.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი ზ. ჟვანია**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის დადგენილება №49-სსმ III, №60, 14.06.2004წ; მუხ.525
2. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679
3. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება №83-სსმ III, №109, 04.10.2004წ; მუხ.958
4. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №88-სსმ III, №120, 26.10.2004წ; მუხ.1039
5. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №113-სსმ III, №142, 04.12.2004წ; მუხ.1285
6. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №115-სსმ III, №148, 17.12.2004წ; მუხ.1352
7. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 24 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №22, 25.02.2005წ; მუხ.211
8. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 10 მარტის დადგენილება №38-სსმ III, №28, 11.03.2005წ; მუხ.264
9. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 მაისის დადგენილება №88-სსმ III, №61, 19.05.2005წ; მუხ.647
10. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 15 ივნისის დადგენილება №106-სსმ III, №74, 17.06.2005წ; მუხ.786
11. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №148-სსმ III, №100, 26.08.2005წ; მუხ.1124
12. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 18 იანვრის დადგენილება №12-სსმ III, №8, 23.01.2006წ; მუხ.67
13. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 5 აპრილის დადგენილება №78-სსმ III, №48, 07.04.2006წ; მუხ.608
14. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 26 აპრილის დადგენილება №85-სსმ III, №59, 28.04.2006წ; მუხ.774
15. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №255-სსმ III, №176, 29.12.2006წ; მუხ.2390
16. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის დადგენილება №22-სსმ III, №23, 20.02.2007წ; მუხ.266
17. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის დადგენილება №47-სსმ III, №34, 14.03.2007წ; მუხ.404
18. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის დადგენილება №109-სსმ III, №78, 04.06.2007წ; მუხ.836
19. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №257-სსმ III, №170, 30.11.2007წ; მუხ.1886
20. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №274-სსმ III, №180, 20.12.2007წ; მუხ.1981
21. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №297-სსმ III, №184, 26.12.2007წ; მუხ.2058
22. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 მარტის დადგენილება №55-სსმ III, №39, 13.03.2008წ; მუხ.432
23. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 მარტის დადგენილება №78-სსმ III, №47, 28.03.2008წ; მუხ.527
24. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 15 მაისის დადგენილება №123-სსმ III, №74, 19.05.2008წ; მუხ.800

25. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 11 ივნისის დადგენილება №135-სსმ III, №85, 17.06.2008წ; მუხ.908
26. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245
27. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №203-სსმ III, №148, 09.10.2008წ; მუხ.1477
28. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №20, 20.02.2009წ; მუხ.248
29. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563
30. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №145, 25.11.2009წ; მუხ.1688
31. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №221-სსმ III, №151, 11.12.2009წ; მუხ.1782
32. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №261-სსმ III, №159, 30.12.2009წ; მუხ.1955
33. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №16, 11.02.2010წ; მუხ.184
34. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 თებერვლის დადგენილება №55-სსმ III, №23, 26.02.2010წ; მუხ.320
35. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542
36. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №175-სსმ III, №80, 06.07.2010წ; მუხ.1169
37. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №260-სსმ III, №104, 25.08.2010წ; მუხ.1580
38. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №264-სსმ III, №105, 26.08.2010წ; მუხ.1597
39. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის დადგენილება №270-სსმ III, №118, 16.09.2010წ; მუხ.1741
40. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 სექტემბრის დადგენილება №284-სსმ III, №124, 28.09.2010წ; მუხ.1805
41. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №371-სსმ III, №162,13.12.2010წ; მუხ.2283
42. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №399-სსმ III,№172,31.12.2010წ; მუხ.2472
43. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის დადგენილება №23 – ვებგვერდი, 27.01.2011წ.
44. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის დადგენილება №41 – ვებგვერდი, 31.01.2011წ.
45. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება №91-ვებგვერდი,28.02.2011წ.
46. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №178 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.
47. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის დადგენილება №190-ვებგვერდი,29.04.2011წ.
48. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს დადგენილება №297- ვებგვერდი, 09.08.2011წ.
49. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №472 - ვებგვერდი, 16.12.2011წ.
50. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 აპრილის დადგენილება №156 - ვებგვერდი, 03.05.2012წ.
51. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილება №236 - ვებგვერდი, 06.07.2012წ.
52. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 ივლისის დადგენილება №248 - ვებგვერდი, 10.07.2012წ.
53. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №325 - ვებგვერდი, 07.08.2012წ.
54. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება №439 - ვებგვერდი, 31.10.2012წ.
55. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 2 ნოემბრის დადგენილება №444 - ვებგვერდი, 05.11.2012წ.
56. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის დადგენილება №90 – ვებგვერდი, 26.04.2013წ.
57. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 07.05.2013წ.

# საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის საქართველოს კონსტიტუციისა და ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის

წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს; ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას.

2. სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საბიუჯეტო და საგადასახადო კოდექსებით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს.

4. სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

5. სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

6. სამინისტროს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და ხარჯთა ნუსხა.

7. სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, 0105, გორგასლის ქ. №16.

8. სამინისტროს სრული სახელწოდებაა „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო“.

*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის დადგენილება №47-სსმ III, №34, 14.03.2007წ; მუხ.404*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №297-სსმ III, №184, 26.12.2007წ; მუხ.2058*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №261-სსმ III, №159, 30.12.2009წ; მუხ.1955*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №399-სსმ III,№172,31.12.2010წ; მუხ.2472*

**მუხლი 2**

1. სამინისტროს აქვს მრგვალი ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და წარწერით „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო“, შესაბამისი თარგმანით ინგლისურ ენაზე.

2. სამინისტროს მიერ სახელმწიფო დროშის გამოყენების წესი დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.

3. სახელმწიფო გერბის გამოსახულება გამოიყენება როგორც სამინისტროს, ისე მის სისტემაში შემავალ დაწესებულებათა ბლანკებსა და აზრებზე.

4. სამინისტროს შეიძლება ჰქონდეს ემბლემა, რომელიც მტკიცდება და რეგისტრირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამინისტროს ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავიზიტო ბარათებზე, სხვა ბეჭდვით გამოცემებსა და სამინისტროს სუვენირებზე.

## თავი II
## სამინისტროს კომპეტენცია და უფლებამოსილებანი

**მუხლი 3**

სამინისტროს ფუნქციებია:

ა) საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ქვეყნის საფინანსო სისტემის მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება;

ბ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა ფარგლებში საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის

ძირითადი დებულებებისა და საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მონაცემთა და მიმართულებათა ჩამოყალიბება, აგრეთვე შესაბამისი საფინანსო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

გ) წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის, ასევე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება და საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ვადებში მისი წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის;

დ) (ამოღებულია);

ე) (ამოღებულია-12.04.2011,№178);

ვ) სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება;

ზ) სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალდებულებათა რეგისტრაცია დადგენილი წესის მიხედვით; საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულების დამოწმების შესაბამისად გადახდა დადგენილი წესის მიხედვით; უკან დასაბრუნებელ სახელმწიფო შემოსულობათა დაბრუნების პროცესის მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;

თ) ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად შემოსულობებისა და გადასახდელების ყოველკვარტალური ფინანსური გეგმის შედგენა;

თ[1]) ფინანსურ ინსტრუმენტებში სახაზინო სამსახურის ანგარიშზე არსებული სახსრების განთავსება;

ი) სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების წესის შემუშავება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების სრულყოფა;

კ) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მის შემოსულობათა ოპერატიული მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;

ლ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემუშავება, დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ანგარიშგებისა და ფორმის დადგენა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების წარდგენის წესისა და ვადების დადგენა;

ნ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების პერიოდული (3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წლიური) ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის წესის, ვადებისა და ფორმების შემუშავება;

ო) საქართველოს ეროვნულ ბანკთან, როგორც ფისკალურ აგენტ ბანკთან ერთად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი პარამეტრების დაცვაში მონაწილეობა;

პ) საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, შესაბამისი პროგრამების შედგენა, კონცეფციების ჩამოყალიბება და მათი განხორციელების ორგანიზება; საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების სრული მობილიზების უზრუნველყოფა გადასახადების აკრეფის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ამ მიზნით სათანადო წინადადებათა მომზადება და მათი განხორციელების ორგანიზება;

ჟ) საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, განკარგულებების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების შესრულების ორგანიზება და კონტროლი;

რ) საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო კანონმდებლობის აღსრულებისა და გამოყენების ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების შედგენა და დადგენილი წესით მათი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;

ს) საგადასახადო ორგანოების მუშაობით მიღწეული და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და პროგნოზირება, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ სათანადო რეკომენდაციების მომზადება;

ტ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გამოვლენა-აღკვეთა, თავიდან აცილება, წინასწარი გამოძიება; საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება; ამ სფეროში დანაშაულებისა და სხვა სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად შესაბამის წინადადებათა მომზადება;

უ) არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზირება და მათი შესრულების მიმდინარეობის ანგარიშების მომზადება;

ფ) სახელმწიფო საგარეო და საშინაო პირდაპირი და პირობითი (გარანტირებული) ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა, აგრეთვე ამ ვალდებულებათა მართვასა და მომსახურებაში მონაწილეობა;

ქ) სახელმწიფოს მიმართ საქართველოს იმ ეკონომიკური აგენტების ფინანსურ ვალდებულებათა აღრიცხვა, რომლებიც სარგებლობენ საგარეო წყაროებიდან მიღებული სახელმწიფო საკრედიტო რესურსებით ან კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიებით, აგრეთვე ამ ვალდებულებათა მართვასა და მომსახურებაში მონაწილეობა;

ღ) სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღება, კომპეტენციის ფარგლებში;

ყ) სხვადასხვა ვადიანი სახელმწიფო სასესხო ვალდებულების გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის ძირითადი პირობების შემუშავება, ემისიების განხორციელება და მის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულება;

შ) სახელმწიფოს შიდა, რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მართვა; სასესხო ვალდებულებათა (დავალიანებათა) დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საჭიროების შემთხვევაში სასესხო ვალდებულებათა (დავალიანებათა) რესტრუქტურიზაციის თაობაზე წინადადებების მომზადება;

ჩ) აქციზური მარკების სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება, აქციზური მარკების რეალიზაცია, მარკების გამოყენებისათვის მკაცრი კონტროლის დაწესება, სამომხმარებლო ბაზარზე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის მონიტორინგი, დასაბეჭდი აქციზური მარკების რაოდენობის განსაზღვრა და მათი ბეჭდვის ორგანიზება;

ც) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიის შემუშავება, სამინისტროების, სხვა მხარჯავი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმიანობის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა; ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების ფორმების, ნორმებისა და წესების შემუშავება;

ძ) საიმპორტო საქონლისათვის გრანტის ან ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება; საქართველოს მიერ მიღებული გრანტების, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების, სახელმწიფო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვა და სათანადო საჯარო რეესტრების წარმოება;

წ) ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მქონე საქონლის მონეტიზაციის პროგრამების განხილვა, შეთანხმება;

ჭ) უცხოური საინვესტიციო რესურსების მოზიდვაში მონაწილეობა და ქვეყანაში ინვესტიციური პოლიტიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერით დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტების განხორციელების კოორდინაცია და ზედამხედველობა;

ხ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების შესაძლო ფინანსური შედეგების თაობაზე დასკვნის მომზადება;

ჯ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის უფლების ლიცენზიის (ნებართვის) გაცემა და ლიცენზიის (ნებართვის) პირობების შესრულების კონტროლი;

ჰ) (ამოღებულია);

ჰ.ა) საქართველოს ტერიტორიაზე ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების სახელმწიფოებრივი რეგულირება; კანონმდებლობით დადგენილი წესით აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების თითოეული სახეობის ნებართვის გაცემა, ნებართვის მოქმედების შეჩერება, განახლება, მასში ცვლილებების შეტანა, გაუქმება და საქმიანობის კონტროლი, აგრეთვე ამ სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;

ჰ.ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მკაცრი აღრიცხვის ფორმების, მათი დამზადების, შენახვისა და გამოყენების საკითხთა მართვა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის დამტკიცება, ფორმების სახის შეთანხმება და რეგისტრაცია;

ჰ.გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის პროცესში მონაწილეობა, შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება;

ჰ.დ) (ამოღებულია);

ჰ.ე) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიერ მიღებული წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე წარმოდგენილ წინადადებათა განხილვა-შეთანხმება;

ჰ.ვ) კანონმდებლობით დადგენილ საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროსთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა განხორციელება;

ჰ.ზ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა სახელმწიფო კონტროლი, რომელთა მაკონტროლებელ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, აგრეთვე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება;

ჰ.თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მუშაობაში;

ჰ.ი) ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის თანახმად საქართველოსათვის სავალდებულო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი აღსრულების ფინანსური საკითხების გადაწყვეტა;

ჰ.კ) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);

ჰ.ლ) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);

ჰ.მ) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);

ჰ.ნ) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);

ჰ.ო) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);

ჰ.პ) (ამოღებულია – 02.05.2013, №106).

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №115-სსმ III, №148, 17.12.2004წ; მუხ.1352*
*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 24 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №22, 25.02.2005წ; მუხ.211*
*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 მაისის დადგენილება №88-სსმ III, №61, 19.05.2005წ; მუხ.647*
*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 15 ივნისის დადგენილება №106-სსმ III, №74, 17.06.2005წ; მუხ.786*
*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №148-სსმ III, №100, 26.08.2005წ; მუხ.1124*

*საქართველოს მთავრობის 2006 წლის 5 აპრილის დადგენილება №78-სსმ III, №48, 07.04.2006წ; მუხ.608*
*საქართველოს მთავრობის 2006 წლის 26 აპრილის დადგენილება №85-სსმ III, №59, 28.04.2006წ; მუხ.774*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის დადგენილება №47-სსმ III, №34, 14.03.2007წ; მუხ.404*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №203-სსმ III, №148, 09.10.2008წ; მუხ.1477*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №221-სსმ III, №151, 11.12.2009წ; მუხ.1782*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №261-სსმ III, №159, 30.12.2009წ; მუხ.1955*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №399-სსმ III,№172,31.12.2010წ; მუხ.2472*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №178 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილება №236 - ვებგვერდი, 06.07.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 ივლისის დადგენილება №248 - ვებგვერდი, 10.07.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 07.05.2013წ.*

## თავი III
## სამინისტროს ხელმძღვანელობის ორგანიზება და ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობები

### მუხლი 4

1. სამინისტროს ხელმღვანელობს მინისტრი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მინისტრი:

ა) წარმოადგენს სამინისტროს და აწესრიგებს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების, საქართველოს პარლამენტის დადგენილებების შესრულებისათვის იმ სფეროში, რომელიც სამინისტროს მმართველობას განეკუთვნება;

გ) უშუალოდ, აგრეთვე პირველი მოადგილისა და მოადგილეების, სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სხვა დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით წყვეტს ამ დებულებით განსაზღვრულ საკითხებს;

დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს მინისტრის პირველი მოადგილის, მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს დაქვემდებარებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა კანდიდატურებს, გარდა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგამოძიებო სამსახურის უფროსისა;

დ[1]) საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებული წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგამოძიებო სამსახურის უფროსის კანდიდატურას;

დ[2]) (ამოღებულია);

ე) (ამოღებულია);

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს:

ვ.ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ყველა საჯარო მოსამსახურეს;

ვ.ბ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს ამ დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით;

ვ.გ) (ამოღებულია);

ვ.დ) სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილეებს, სახაზინო სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებსა და მოადგილეებს;

ვ.ე) (ამოღებულია);

ვ.ვ) საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეებს და საგამოძიებო სამსახურის სტრუქტურული ერთეულების უფროსებს;

ვ.ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეებს (მათ შორის, პირველ მოადგილეს) და სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულების უფროსებს შემოსავლების სამსახურის უფროსის წარდგინებით;

ვ.თ) სხვა პირებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ვ[1]) იღებს გადაწყვეტილებებს სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა წახალისების შესახებ;

ზ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებას სამინისტროს წლიური ბიუჯეტის და, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი ბიუჯეტის შესახებ; იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტი და მიზანშეწონილი შესრულებისათვის;

თ) სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში ამტკიცებს სამინისტროს სისტემაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხარჯთა ნუსხას, ახორციელებს მათი შესრულების კონტროლს და, აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;

ი) ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების სტრუქტურასა და დებულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დადგენილია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე სხვა ნორმატიული აქტებით;

კ) პასუხისმგებელია სამინისტროს სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების დაცვისა და გამოყენებისათვის და ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მეთოდურ მითითებებს და პასუხისმგებელია მათი კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის;

მ) ზედამხედველობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, აგრეთვე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებათა და ტერიტორიულ ორგანოთა საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას; ძალადაკარგულად ცნობს პირველი მოადგილის, მოადგილეების, სამინისტროს სისტემის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისა და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირთა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების ხელმძღვანელების აქტებსა და მოქმედებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, მთავრობის დადგენილებებს, აგრეთვე მინისტრის ბრძანებებს; მინისტრი უფლებამოსილია აგრეთვე ძალადაკარგულად ცნოს ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა აქტები და მოქმედებები მათი მიზანშეუწონლობის გამო;

ნ) წყვეტს სამართლებრივ დავას სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს, სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, აგრეთვე ტერიტორიულ ორგანოებს შორის;

ო) დადგენილი წესით საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;

პ) ახორციელებს საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, მთავრობის დადგენილებებით მისთვის დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობებს;

ქ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს აძლევს სამსახურებრივი-საშტატო, სამხედრო-საბრძოლო იარაღის, სპეციალური საშუალებების შენახვისა და ტარების უფლებას;

ღ) განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს;

ყ) ამტკიცებს სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში სტაჟირების ან/და პრაქტიკის გავლის წესს.

4. მინისტრს უფლება აქვს სამინისტროს თანამდებობის პირთა მოქმედების სამსახურებრივი ზედამხედველობა დააკისროს პირველ მოადგილეს.

5. თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული საკითხი ეხება აგრეთვე სხვა სამინისტროს კომპეტენციას, მინისტრი გადაწყვეტილებას ათანხმებს შესაბამის მინისტრთან; თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება მთავრობის სხდომაზე.

6. ა) მინისტრი უფლებამოსილია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას სათათბირო ორგანო – სათათბირო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, აგრეთვე მინისტრის გადაწყვეტილებით – სამინისტროს სისტემის სხვა თანამდებობის პირები და თანამშრომლები. სათათბირო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებათა წარმომადგენლები, მხოლოდ მათი თანხმობით. სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესს, წევრთა რიცხოვნობასა და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს მინისტრი შესაბამისი ბრძანებით;

ბ) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხთა განხილვისა და მათ შესახებ დასკვნების მომზადების მიზნით მინისტრს შეუძლია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებით (შემდგომში – სათათბირო ორგანოები), განსაზღვროს მათი უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის წესი. სათათბირო ორგანოებს შეიძლება მიეცეთ გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით;

გ) სათათბირო ორგანო იქმნება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება მისი ამოცანები, თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) და წევრები, სათათბირო ორგანოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

დ) სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს სხვა სამთავრობო დაწესებულების საჯარო მოსამსახურე ამ დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობით; მის მუშაობაში შეიძლება ჩაბმულ იქნენ პირები, რომლებიც არ არიან საჯარო მოსამსახურეები;

ე) თუ სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე არ არის მოხელე, რომელიც შედის სამინისტროს ხელმძღვანელობაში, ან არ არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მინისტრი სამინისტროს ხელმძღვანელობიდან ან სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობიდან ნიშნავს ამ ორგანოს მუშაობისათვის პასუხისმგებელ პირს;

ვ) სათათბირო ორგანოს საქმიანობასა და სხდომის ოქმების წარმოებას უზრუნველყოფს სამინისტროს ბიურო;

ზ) სათათბირო ორგანო უფლებამოსილია თავის წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად სამინისტროს სისტემის ორგანოებიდან გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები;

თ) სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

*საქართველოს მთავრობის 2006 წლის 18 იანვრის დადგენილება №12-სსმ III, №8, 23.01.2006წ; მუხ.67*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის დადგენილება №47-სსმ III, №34, 14.03.2007წ; მუხ.404*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №257-სსმ III, №170, 30.11.2007წ; მუხ.1886*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №274-სსმ III, №180, 20.12.2007წ; მუხ.1981*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 მარტის დადგენილება №55-სსმ III, №39, 13.03.2008წ; მუხ.432*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 15 მაისის დადგენილება №123-სსმ III, №74, 19.05.2008წ; მუხ.800*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №145, 25.11.2009წ; მუხ.1688*

*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №221-სსმ III, №151, 11.12.2009წ; მუხ.1782*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 თებერვლის დადგენილება №55-სსმ III, №23, 26.02.2010წ; მუხ.320*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №175-სსმ III, №80, 06.07.2010წ; მუხ.1169*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №260-სსმ III, №104, 25.08.2010წ; მუხ.1580*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 სექტემბრის დადგენილება №284-სსმ III, №124, 28.09.2010წ; მუხ.1805*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №399-სსმ III,№172,31.12.2010წ; მუხ.2472*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება №91-ვებგვერდი,28.02.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №472 - ვებგვერდი, 16.12.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის დადგენილება №90 – ვებგვერდი, 26.04.2013წ.*

**მუხლი 5**

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ოთხი მოადგილე. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტ-თან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრე-მიერ-მინისტრი.

2. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებანი განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

3. მინისტრის პირველი მოადგილე მინისტრის არყოფნისას ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამსახურების ურთიერთობას.

4. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

5. (ამოღებულია – 31.10.2012, №439).

6. (ამოღებულია).

7. (ამოღებულია).

8. (ამოღებულია – 31.10.2012, №439).

*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №20, 20.02.2009წ; მუხ.248*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №260-სსმ III, №104, 25.08.2010წ; მუხ.1580*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №264-სსმ III, №105, 26.08.2010წ; მუხ.1597*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის დადგენილება №270-სსმ III, №118, 16.09.2010წ; მუხ.1741*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №371-სსმ III, №162,13.12.2010წ; მუხ.2283*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის დადგენილება №23-ვებგვერდი,27.01.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის დადგენილება №41-ვებგვერდი,31.01.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება №91-ვებგვერდი,28.02.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 ივლისის დადგენილება №248 - ვებგვერდი, 10.07.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №325 - ვებგვერდი, 07.08.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება №439 - ვებგვერდი, 31.10.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 2 ნოემბრის დადგენილება №444 - ვებგვერდი, 05.11.2012წ.*

**მუხლი 6**

1. გარდა ამ დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა, სამინისტროს თანამდებობის პირები არიან:

ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

ბ) სამინისტროს დაქვემდებარებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

გ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები.

2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები უშუალოდ ექვემდებარებიან მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს ან მინისტრის მოადგილეს.

3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

ა) შიდა ქვედანაყოფების მიხედვით ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და განკარგულებებს;

ბ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეთა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ) ანგარიშვალდებულია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობისათვის;

ე) წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს საკუთარი მოვალეობის შესრულებისას და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით წარუდგენს დასკვნებს მინისტრის მოადგილეს, რომელიც მინისტრის ბრძანების შესაბამისად ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

ვ) წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას წინადადებებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანების შესასრულებლად;

თ) ასრულებს ამ დებულებით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებით, მინისტრის და/ან უშუალო ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ ამოცანებს.

## თავი IV
## სამინისტროს სისტემა

**მუხლი 7**

სამინისტროს სისტემაში შედის:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;

ბ[1]) საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა სახელმწიფო კონტროლს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამინისტრო;

გ) (ამოღებულია);

2. სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებია:

ა) (ამოღებულია);

ბ) (ამოღებულია);

გ) სახაზინო სამსახური;

დ) საგამოძიებო სამსახური.

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №115-სსმ III, №148, 17.12.2004წ; მუხ.1352*
*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 10 მარტის დადგენილება №38-სსმ III, №28, 11.03.2005წ; მუხ.264*
*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 15 ივნისის დადგენილება №106-სსმ III, №74, 17.06.2005წ; მუხ.786*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის დადგენილება №47-სსმ III, №34, 14.03.2007წ; მუხ.404*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 11 ივნისის დადგენილება №135-სსმ III, №85, 17.06.2008წ; მუხ.908*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №145, 25.11.2009წ; მუხ.1688*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*

**მუხლი 8**

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები არიან:

ა) სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი;
ბ) იურიდიული დეპარტამენტი;
გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
დ) სამინისტროს ბიურო;
ე) საბიუჯეტო დეპარტამენტი;
ვ) (ამოღებულია);
ზ) (ამოღებულია-12.04.2011,№178);
თ) (ამოღებულია);
ი) (ამოღებულია);
კ) დავების განხილვის სამსახური;
ლ) (ამოღებულია);
მ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;
ნ) საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი;
ო) ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი;
პ) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);
ჟ) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);
რ) პარლამენტთან ურთიერთობის სამსახური;
ს) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
ტ) ანალიტიკური დეპარტამენტი;
უ) ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური.

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის დადგენილება №49-სსმ III, №60, 14.06.2004წ; მუხ.525*
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება №83-სსმ III, №109, 04.10.2004წ; მუხ.958*
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №88-სსმ III, №120, 26.10.2004წ; მუხ.1039*
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №115-სსმ III, №148, 17.12.2004წ; მუხ.1352*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის დადგენილება №22-სსმ III, №23, 20.02.2007წ; მუხ.266*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 მარტის დადგენილება №78-სსმ III, №47, 28.03.2008წ; მუხ.527*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №16, 11.02.2010წ; მუხ.184*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №175-სსმ III, №80, 06.07.2010წ; მუხ.1169*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №178 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილება №236 - ვებგვერდი, 06.07.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 ივლისის დადგენილება №248 - ვებგვერდი, 10.07.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 2 ნოემბრის დადგენილება №444 - ვებგვერდი, 05.11.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 07.05.2013წ.*

## თავი V
## სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები და ტერიტორიული ორგანოები

### მუხლი 9. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 15 მაისის დადგენილება №123-სსმ III, №74, 19.05.2008წ; მუხ.800*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*

### მუხლი 10. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2006 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №255-სსმ III, №176, 29.12.2006წ; მუხ.2390*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის დადგენილება №47-სსმ III, №34, 14.03.2007წ; მუხ.404*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის დადგენილება №109-სსმ III, №78, 04.06.2007წ; მუხ.836*

*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 მარტის დადგენილება №78-სსმ III, №47, 28.03.2008წ; მუხ.527*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №145, 25.11.2009წ; მუხ.1688*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №221-სსმ III, №151, 11.12.2009წ; მუხ.1782*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*

**მუხლი 11. (ამოღებულია)**
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის დადგენილება №47-სსმ III, №34, 14.03.2007წ; მუხ.404*

**მუხლი 12**

1. სახაზინო სამსახური (შემდგომში – სახელმწიფო ხაზინა) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულებას, სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა აღრიცხვას, ანგარიშგებასა და ანგარიშსწორებას;

ბ) (ამოღებულია –12.04.2011, №178);

გ) მხარჯავ დაწესებულებათა ვალდებულებების რეგისტრაციას დადგენილი წესის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულებების დამოწმების შესაბამისად გადახდას დადგენილი წესით;

დ) შესაბამისი საგადასახადო ორგანოს ან ხელისუფლების სხვა ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი ბიუჯეტის შემოსულობების დაბრუნებას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას;

ე) ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შემუშავებას;

ვ) სახელმწიფოს შიდა და საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების ერთიანი რეესტრის წარმოებას, სახელმწიფოს შიდა საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მართვისა და მათზე წარმოქმნილი ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის, სასესხო დავალიანების დაზუსტების, სასესხო დავალიანების პატიების, სასესხო დავალიანების უიმედოდ აღიარებისა და ჩამოწერის თაობაზე საკითხის განხილვის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიისათვის შესაბამისი მასალებისა და ინფორმაციის მომზადებას;

ვ[1]) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის თაობაზე „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიისათვის შესაბამისი მასალებისა და ინფორმაციის მომზადებას; ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის თაობაზე დასადები ხელშეკრულებისა და დაფარვის გრაფიკის მომზადებას და დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს;

ზ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სასესხო დავალიანებათა მქონე სახელმწიფო სესხებით მოსარგებლე საწარმოების მიმართ დაწყებულ გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესებში მონაწილეობას;

თ) (ამოღებულია – 05.07.2012, №236);

ი) (ამოღებულია – 05.07.2012, №236);

კ) (ამოღებულია – 05.07.2012, №236);

ლ) (ამოღებულია – 05.07.2012, №236);

მ) (ამოღებულია – 05.07.2012, №236);

ნ) (ამოღებულია – 05.07.2012, №236);

ო) სახაზინო სამსახურის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების მართვასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს;

პ) საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვასა და კონტროლს;

ჟ) ფინანსურ ინსტრუმენტებში სახაზინო სამსახურის ანგარიშზე არსებული სახსრების განთავსების ორგანიზებას.

2. სახელმწიფო ხაზინა მხარჯავი დაწესებულებებიდან იღებს ბიუჯეტის შესრულების ბალანსს.

3. სახელმწიფო ხაზინა მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფო ხაზინაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ადმინისტრაციული სამმართველოს მეშვეობით, რომელთა დებულებას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 10 მარტის დადგენილება №38-სსმ III, №28, 11.03.2005წ; მუხ.264*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 11 ივნისის დადგენილება №135-სსმ III, №85, 17.06.2008წ; მუხ.908*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №203-სსმ III, №148, 09.10.2008წ; მუხ.1477*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №175-სსმ III, №80, 06.07.2010წ; მუხ.1169*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 სექტემბრის დადგენილება №284-სსმ III, №124, 28.09.2010წ; მუხ.1805*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №399-სსმ III,№172,31.12.2010წ; მუხ.2472*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №178 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის დადგენილება №190-ვებგვერდი,29.04.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილება №236 - ვებგვერდი, 06.07.2012წ.*

მუხლი 12[1]. საგამოძიებო სამსახური

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური (შემდგომში – საგამოძიებო სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით შემავალი სპეციალური სამართალდამცავი ორგანო.

2. სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

ა) დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, სრული მოცულობით წინასწარი გამოძიების ჩატარებას და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად სათანადო ექსპერტიზის ორგანიზებასა და ჩატარებას კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

ბ) საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციას და გამოვლენას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის საქმიანობის უსაფრთხოებისა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში ამ ორგანოთა თანამშრომლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველყოფას დადგენილი წესით;

დ) საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულისა და კორუფციულ გარიგებათა პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას;

ე) ინფორმაციის მოპოვებასა და მის ანალიზს შემდგომი გამოყენების მიზნით;

ვ) კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებას.

*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №145, 25.11.2009წ; მუხ.1688*

მუხლი 13. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 15 ივნისის დადგენილება №106-სსმ III, №74, 17.06.2005წ; მუხ.786*

მუხლი 14. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 მაისის დადგენილება №88-სსმ III, №61, 19.05.2005წ; მუხ.647*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის დადგენილება №47-სსმ III, №34, 14.03.2007წ; მუხ.404*

**მუხლი 15. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №115-სსმ III, №148, 17.12.2004წ; მუხ.1352*

**მუხლი 16**

1. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები იქმნება, მათი ფუნქციები, უფლებამოსილებანი და სამოქმედო ტერიტორიების დადგენის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

2. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს დებულებას ამტკიცებს მინისტრი.

3. (ამოღებულია).

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №115-სსმ III, №148, 17.12.2004წ; მუხ.1352*

## თავი VI
## სტრუქტურული ქვედანაყოფის ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

**მუხლი 17**

1. სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გააჩნია აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილება იმ პირების მიმართ, რომლებიც არ არიან სამინისტროს მოხელეები.

2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანები, ხელმძღვანელობა, მის შემადგენლობაში არსებული შიდა სტრუქტურული ერთეულები და მათი ძირითადი ამოცანები, თანამდებობათა ნუსხა, ქვემდებარეობა და შენაცვლების წესი განისაზღვრება შესაბამისად ამ დებულებით, სამინისტროს საშტატო ნუსხით, აგრეთვე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი შეიძლება დაიყოს სამმართველოებად, განყოფილებებად.

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 მარტის დადგენილება №78-სსმ III, №47, 28.03.2008წ; მუხ.527*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563*

**მუხლი 18**

სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობის განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვის მიზნით, მონაწილეობის მიღება ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობის შევსების წყაროების განსაზღვრაში სახელმწიფო ვალის ფორმირების ხარჯზე;

ბ) საგარეო წყაროებიდან სახელმწიფოს მიერ მისაღები ფინანსური რესურსების მოცულობის განსაზღვრა და დაგეგმვა;

გ) ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;

დ) ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიების და დაფარვის პროცესში მონაწილეობა;

ე) ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაფარვისა და მომსახურების ხარჯების მოცულობის განსაზღვრა და დაგეგმვა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მიერ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, მათ შორის, ევროობლიგაციების გამოშვებასთან, განთავსებასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებში მონაწილეობა;

ზ) სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების ხარჯების მოცულობის განსაზღვრა და დაგეგმვა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით;

თ) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში საქართველოს სააქციო/საპაიო შესატანების, ასევე აქციონერობიდან/მეპაიეობიდან გამომდინარე ფინანსურ ვალდებულებათა აღრიცხვა და დაგეგმვა;

ი) საგარეო ფინანსური რესურსებიდან სახელმწიფოს მიერ აღებულ კრედიტებსა და საქართველოს ეკონომიკური აგენტების მიერ საგარეო ფინანსური რესურსებიდან აღებულ კრედიტებზე გაცემული სახელმწიფო გარანტიების აღრიცხვა;

კ) სახელმწიფო ვალის რეესტრის წარმოება;

ლ) სახელმწიფო ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ წინადადებების მომზადება;

მ) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ან მათი წარმომადგენლების ფინანსური მხარდაჭერით დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტების განხორციელების ფინანსური მონიტორინგი;

ნ) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ან მათი წარმომადგენლების ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად საკრედიტო ხელშეკრულებების მომზადების, მოლაპარაკების გამართვის, ხელშეკრულების ხელმოწერისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოქმედებათა კოორდინაცია;

ო) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად საგარეო წყაროებიდან მისაღები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გასაცემი თანხების განსაზღვრისა და დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის მიღება;

პ) საგარეო წყაროებიდან დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შემუშავება;

ჟ) სახელმწიფო საგარეო კრედიტებიდან მიღებული სესხებით ან საგარეო კრედიტებზე გაცემული სახელმწიფო გარანტიებით მოსარგებლე საქართველოს ეკონომიკური აგენტების მიერ ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი;

რ) „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო საგარეო კრედიტებიდან გაცემული სესხებისა და სახელმწიფო გარანტიით გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობით წარმოქმნილი დავალიანების დარეგულირების პროცესში მონაწილეობა;

ს) სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული გრანტებისა და ტექნიკური დახმარებების პროექტების აღრიცხვა, საინფორმაციო ბაზის წარმოება;

ტ) საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

უ) სამინისტროს მონაწილეობით გასაფორმებელი საერთაშორისო შეთანხმებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ფ) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების (გარდა საგადასახადო და საბაჟო სფეროების ხელშეკრულებებისა) შესახებ დასკვნების მომზადების კოორდინაცია;

ქ) სამთავრობათაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომებისათვის სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მომზადების კოორდინაცია;

ღ) ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება სახელმწიფო ვალის შესახებ;

ყ) ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული სამინისტროს კომპეტენციის საკითხების შესრულების კოორდინაცია.

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 მარტის დადგენილება №78-სსმ III, №47, 28.03.2008წ; მუხ.527*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილება №236 - ვებგვერდი, 06.07.2012წ.*

მუხლი 19. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*

მუხლი 20. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №88-სსმ III, №120, 26.10.2004წ; მუხ.1039*

მუხლი 21. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება №83-სსმ III, №109, 04.10.2004წ; მუხ.958*

მუხლი 22

იურიდიული დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

ბ) იურიდიული კონსულტაციების გაწევა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სამინისტროს სისტემის ორგანოებისათვის;

გ) საფინანსო კანონმდებლობის ანალიზში მონაწილეობის მიღება მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით;

დ) კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემის ორგანოების იურიდიული სამსახურების მუშაობის კოორდინაცია;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოში;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, მთავრობასა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ზ) (ამოღებულია – 02.11.2012, №444);

თ) (ამოღებულია);

ი) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოთა მიერ მიღებული წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე წარდგენილი წინადადებებისა და დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა კომპეტენციის ფარგლებში.

კ) „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულ სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღება, კომპეტენციის ფარგლებში.

*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 10 მარტის დადგენილება №38-სსმ III, №28, 11.03.2005წ; მუხ.264*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს დადგენილება №297- ვებგვერდი, 09.08.2011წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილება №236 - ვებგვერდი, 06.07.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 2 ნოემბრის დადგენილება №444 - ვებგვერდი, 05.11.2012წ.*

მუხლი 23

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, კაპიტალური მშენებლობის, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა დაგეგმვა-წარმოების ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) მატერიალურ-ტენიკური უზრუნველყოფის საკითხებზე სახელშეკრულებო ვალდებულებათა ზედამხედველობა და კონტროლი;

გ) სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით

დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

დ) სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საქმისწარმოების ორგანიზება;

ე) სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საქმისწარმოებისათვის პასუხისმგებელი თანამშრომლებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა;

ვ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სამსახურებრივ-საშტატო იარაღითა და საბრძოლო მასალით მომარაგება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი საჯარო მოხელეებისათვის მათი ცენტრალიზებული გაცემა და აღრიცხვა;

ზ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში არსებულ იარაღსა და საბრძოლო მასალებზე საერთო პასუხისმგებლობა და მათი კონტროლი, იარაღის ტარების უფლების მქონე თანამდებობის პირთა საერთო რეესტრის წარმოება;

თ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების უფლებამოსილი საჯარო მოხელეებისათვის იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი მოწმობების გაცემა;

ი) სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში წარდგენა;

კ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაერთი ბალანსის შედგენა;

ლ) წლიური და კვარტალური სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და მათი დანიშნულებისამებრ წარდგენა;

მ) საარქივო საქმიანობის წარმართვა;

ნ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება;

ო) საფინანსო-ეკონომიკური, სამეურნეო და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა;

პ) (ამოღებულია);

ჟ) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);

ჟ[1]) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);

რ) (ამოღებულია – 02.05.2013, №106);

ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მომზადება;

ტ) სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე მუშაობა.

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №88-სსმ III, №120, 26.10.2004წ; მუხ.1039*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის დადგენილება №22-სსმ III, №23, 20.02.2007წ; მუხ.266*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის დადგენილება №47-სსმ III, №34, 14.03.2007წ; მუხ.404*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 მარტის დადგენილება №55-სსმ III, №39, 13.03.2008წ; მუხ.432*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №16, 11.02.2010წ; მუხ.184*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*
*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 07.05.2013წ.*

მუხლი 24. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №88-სსმ III, №120, 26.10.2004წ; მუხ.1039*

**მუხლი 25**

სამინისტროს ბიუროს ძირითადი ამოცანებია:

ა) მინისტრისა და მისი მოადგილეების საქმიანობის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა, კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სხვა უწყებებთან საქმიანობის კოორდინაციაში მონაწილეობის მიღება;

გ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, ეროვნული უშიშროების საბჭოდან, საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან და საქართველოს პარლამენტიდან შემოსული საკონტროლო დავალებების, მინისტრის სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და მინისტრის ბრძანებების შესრულების კონტროლი;

დ) მინისტრის სახელზე შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა და დამუშავება, მინისტრის რეზოლუციათა პროექტების მომზადება;

ე) მინისტრის სათათბირო საბჭოს სხდომებისა და სამინისტროში გამართული თათბირების ორგანიზაცია დადგენილი წესით;

ვ) პროტოკოლის წარმოება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა;

თ) სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობისა და დემოკრატიზაციის უზრუნველყოფა;

ი) სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებათა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფა;

კ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ფინანსთა სამინისტროს როლისა და მნიშვნელობის განმარტება სახელმწიფო პოლიტიკის, მისი პრიორიტეტების, ეკონომიკური რეფორმების პროცესში;

ლ) სამინისტროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინებების, განცხადებებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება და მათი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისათვის მიწოდება;

მ) სამინისტროს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება;

ნ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

ო) მოქალაქეთა მიღების კოორდინაცია და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

პ) სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე მუშაობა.

*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 მარტის დადგენილება №55-სსმ III, №39, 13.03.2008წ; მუხ.432*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №175-სსმ III, №80, 06.07.2010წ; მუხ.1169*

**მუხლი 26. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება №83-სსმ III, №109, 04.10.2004წ; მუხ.958*

**მუხლი 27**

საბიუჯეტო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების შემუშავება და საშუალოვადიანი საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით წინადადებების, ანალიტიკური მასალებისა და საპროგნოზო გაანგარიშების მომზადება;

ბ) საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის მომზადება და ამ მიზნით საჭირო სამუშაოთა ორგანიზება და შესრულება, ამ კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

დ) დასაგეგმი წლის დაწყებამდე წლიური საბიუჯეტო კანონის მიუღებლობის შემთხვევაში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად წინადადებების მომზადება მხარჯავი დაწესებულებებისათვის გასაცემი თანხების თაობაზე;

ე) წლიურ საბიუჯეტო კანონში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის მომზადება და ამ მიზნით სამუშაოების ორგანიზება და შესრულება;

ვ) პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანერგვის და მათი სრულყოფის საერთო კოორდინაცია და შესაბამისი მეთოდოლოგიების/ინსტრუქციების შემუშავება;

ზ) სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საშუალოვადიანი ნაერთი ბიუჯეტის ფორმირება;

თ) სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წლიური საბიუჯეტო კანონის მიხედვით განწერის მომზადება და დაზუსტება;

ი) სახელმწიფო ბიუჯეტის განწერის თანახმად ან სახელმწიფო ბიუჯეტის განწერის დაზუსტების დროს მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიხედვით წარმოდგენილ საბიუჯეტო ასიგნებათა განაწილებების მიღება, დამუშავება, სახაზინო კოდების მინიჭება და სახაზინო სამსახურზე დაშვება;

კ) დადგენილი წესის თანახმად მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების მთლიანი ოდენობიდან თანხების ერთ ან მეტ ასიგნებაზე გადანაწილების შესახებ წინადადებების მომზადება;

ლ) დადგენილი წესის შესაბამისად სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების ხარჯთაღრიცხვის განხილვა, დადასტურება და სახაზინო სამსახურზე დაშვება;

მ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევაში საგანგებო ბიუჯეტის პროექტის მომზადება, საჭირო სამუშაოების ორგანიზება და შესრულება;

ნ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემუშავებაში და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ო) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ვადებში სახელმწიფო ბიუჯეტის პერიოდული (3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წლიური) შესრულების ანგარიშის მომზადება, საჭირო სამუშაოების ორგანიზება და შესრულება;

პ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ბიუჯეტების ანალიზი და მათ ფუნქციებთან დაკავშირებული შესაბამისი ანალიტიკური მასალების მომზადება;

ჟ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი დებულებებისა და მათი შემდგომი სრულყოფის თაობაზე წინადადებათა შემუშავება;

რ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერის თაობაზე წინადადებებისა და სათანადო ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;

ს) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის სფეროში მეთოდური ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარების გაწევა;

ტ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის წესის, ვადებისა და ფორმების შემუშავება;

უ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების პერიოდული (ყოველთვიური, 3 თვე, 6 თვე, 9 თვე, ყოველწლიური) აღრიცხვა და ანგარიშგების შედგენა;

ფ) საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა;

ქ) „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის თანახმად საქართველოსათვის სავალდებულო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი აღსრულების ფინანსური საკითხების გადაწყვეტისათვის წინადადებების მომზადება.

*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის დადგენილება №49-სსმ III, №60, 14.06.2004წ; მუხ.525*
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*
*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 10 მარტის დადგენილება №38-სსმ III, №28, 11.03.2005წ; მუხ.264*
*საქართველოს მთავრობის 2006 წლის 5 აპრილის დადგენილება №78-სსმ III, №48, 07.04.2006წ; მუხ.608*
*საქართველოს მთავრობის 2006 წლის 26 აპრილის დადგენილება №85-სსმ III, №59, 28.04.2006წ; მუხ.774*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №203-სსმ III, №148, 09.10.2008წ; მუხ.1477*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №261-სსმ III, №159, 30.12.2009წ; მუხ.1955*
*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №178 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.*

მუხლი 28. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*

მუხლი 29. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №115-სსმ III, №148, 17.12.2004წ; მუხ.1352*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №175-სსმ III, №80, 06.07.2010წ; მუხ.1169*

მუხლი 30. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №88-სსმ III, №120, 26.10.2004წ; მუხ.1039*

მუხლი 31. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №88-სსმ III, №120, 26.10.2004წ; მუხ.1039*

მუხლი 32. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის დადგენილება №49-სსმ III, №60, 14.06.2004წ; მუხ.525*

მუხლი 33. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*

მუხლი 34. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*

მუხლი 35. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*

მუხლი 36. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის დადგენილება №60-სსმ III, №76, 27.07.2004წ; მუხ.679*
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება №83-სსმ III, №109, 04.10.2004წ; მუხ.958*
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №113-სსმ III, №142, 04.12.2004წ; მუხ.1285*
*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 24 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №22, 25.02.2005წ; მუხ.211*
*საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №148-სსმ III, №100, 26.08.2005წ; მუხ.1124*
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის დადგენილება №109-სსმ III, №78, 04.06.2007წ; მუხ.836*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №203-სსმ III, №148, 09.10.2008წ; მუხ.1477*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №399-სსმ III,№172,31.12.2010წ; მუხ.2472*

*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №178 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.*

მუხლი 37. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2004 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება №83-სსმ III, №109, 04.10.2004წ; მუხ.958*
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 მარტის დადგენილება №78-სსმ III, №47, 28.03.2008წ; მუხ.527*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №16, 11.02.2010წ; მუხ.184*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*

მუხლი 38. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის დადგენილება №22-სსმ III, №23, 20.02.2007წ; მუხ.266*
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563*

მუხლი 39
დავების განხილვის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:
ა) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საჩივრების და ამ საჩივრებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ყველა მასალის განხილვა, სათანადო ინფორმაციის მომზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოზე (შემდგომში – საბჭო) გასატანად;
ბ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საბჭოში წარდგენილი საგადასახადო დავების შესახებ მასალების დამუშავება და საბჭოს სხდომების ორგანიზება;
გ) საბჭოს მიერ საჩივრის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად;
დ) საჩივრების ელექტრონული ბაზის მართვა, პრაქტიკის განზოგადება;
ე) დავების ხასიათიდან გამომდინარე, კანონმდებლობაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების მომზადება;
ვ) საჩივრის საბჭოს სხდომაზე განხილვამდე საბჭოს გადაწყვეტილების პროექტის (რეკომენდაციის) მომზადება.
*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №173-სსმ III, №116, 12.08.2008წ; მუხ.1245*

მუხლი 40. (ამოღებულია)
*საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №199-სსმ III, №137, 06.11.2009წ; მუხ.1563*
*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 თებერვლის დადგენილება №30-სსმ III, №16, 11.02.2010წ; მუხ.184*

მუხლი 41. შიდა აუდიტის დეპარტამენტი
შიდა აუდიტის დეპარტამენტის ფუნქციას წარმოადგენს:
ა) სამინისტროს წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება, სამინისტროს სისტემის საქმიანობის გაუმჯობესება და მისი მიზნების მიღწევის ხელშეწყობა შემდეგი საქმიანობის განხორციელებით:
ა.ა) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
ა.ბ) სამინისტროს საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;
ა.გ) სამინისტროს საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
ა.დ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;
ა.ე) სამინისტროს აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ა.ვ) სხვა საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს სამინისტროს ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს;

ბ) სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და მისი აღმოჩენის მიზნით განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შემდეგი ღონისძიებები:

ბ.ა) სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია;

ბ.ბ) სამინისტროს სისტემაში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შესახებ დასკვნის შედგენა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ბ.გ) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;

ბ.დ) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულების კონტროლი;

ბ.ე) სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მინისტრთან შეთანხმებით, მასალების შესაბამის ორგანოში გადაგზავნა;

ბ.ვ) დეპარტამენტის „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №95-სსმ III, №33, 31.03.2010წ; მუხ.542*
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 აპრილის დადგენილება №156 - ვებგვერდი, 03.05.2012წ.*

**მუხლი 42**

საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

ბ) საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

გ) საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების მომზადება;

დ) საგადასახადო კანონმდებლობის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ წინადადებათა მომზადება;

ე) მოსაკრებლის სფეროში ერთიანი კომპლექსური საკანონმდებლო აქტების პაკეტის შემუშავება და სრულყოფა;

ვ) ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების (კონვენციის) მომზადების კოორდინაცია;

ზ) საგადასახადო და საბაჟო სფეროებში გასაფორმებელ საერთაშორისო შეთანხმებათა პროექტების მომზადების, შეთანხმებების დადებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოქმედებათა კოორდინაცია;

თ) საბაჟო და საგადასახადო სფეროებში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ორგანიზება;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №178 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.*

**მუხლი 43**

ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოთა მიერ მიღებული წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე წარმოდგენილი წინადადებებისა და დოკუმენტების განხილვა;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მიმართულებათა და მაჩვენებელთა შემუშავებისათვის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური და საბიუჯეტო მაჩვენებლების ანალიზი და პროგნოზული გაანგარიშების განხორციელება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური და კვარტალური შესრულების ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა;

დ) სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის წინადადებათა მომზადება;

ე) ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური განვითარების ამსახველი მაჩვენებლების შესახებ სათანადო ანალიტიკური მასალებისა და ინფორმაციის მომზადება;

ვ) სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით;

ზ) ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის პარამეტრების წლიური გეგმების თვეებისა და კვარტალების მიხედვით განწერის შესახებ წინადადებებისა და შესაბამისი პროექტების მომზადება, მათ შორის, საგადასახადო ორგანოების მიხედვით;

თ) დამტკიცებული განწერის საფუძველზე ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის შესრულების მიმდინარეობის ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონიტორინგი, მის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, საბიუჯეტო შემოსავლების ყოველთვიური განწერის კორექტირების შესახებ წინადადებებისა და შესაბამისი პროექტების მომზადება;

ი) ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის შესრულების ყოველთვიური ანგარიშების მომზადება, საშემოსავლო ნაწილის შესრულების ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ღონისძიებათა შესახებ წინადადებების მომზადება.

*საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №178 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.*

**მუხლი 44. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 ივლისის დადგენილება №248 - ვებგვერდი, 10.07.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 07.05.2013წ.*

**მუხლი 45. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 ივლისის დადგენილება №248 - ვებგვერდი, 10.07.2012წ.*
*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 07.05.2013წ.*

**მუხლი 46. პარლამენტთან ურთიერთობის სამსახური**

პარლამენტთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) მინისტრის მოადგილისათვის – საპარლამენტო მდივნისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) საქართველოს პარლამენტთან სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია.

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 2 ნოემბრის დადგენილება №444 - ვებგვერდი, 05.11.2012წ.*

**მუხლი 47**

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ადამიანური რესურსების მართვის უზრუნველყოფა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანური რესურსების მართვის ანალიზის უზრუნველყოფა;

გ) ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის ორგანიზება და გამართვა;

დ) საჯარო მოსამსახურეთა ატესტაციების ორგანიზება და გამართვა;

ე) საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება;

ვ) სამინისტროს თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შესაბამის ორგანოში წარდგენის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ზ) მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების დონის ანალიზი, მოსამსახურეთა გადამზადების (კვალიფიკაციის შეცვლის) და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ი) სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე მუშაობა.

*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 07.05.2013წ.*

**მუხლი 48**

ანალიტიკური დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) საჯარო ფინანსების სექტორში შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემის გაუმჯობესება და მისი სტანდარტიზაცია;

ბ) საჯარო ფინანსების სექტორში პოლიტიკის ანალიზის სისტემის დანერგვა და მისი სტანდარტიზაცია.

*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 07.05.2013წ.*

**მუხლი 49**

ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამინისტროს ინფორმაციული აქტივების აღწერა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მათზე წვდომის წესების განსაზღვრა;

ბ) სამინისტროს ინფორმაციული აქტივების დაცვა;

გ) ინფორმაციის დამუშავების ინფრასტრუქტურაში არსებული სისუსტეების მართვა;

დ) საფრთხეების და ინციდენტების მართვა, რომლებსაც გავლენა შეუძლიათ მოახდინონ სამინისტროს ინფორმაციულ რესურსებზე;

ე) უსაფრთხოების პოლიტიკის, პროცედურების და სტანდარტების მომზადება და მათი მეშვეობით სამინისტროს საინფორმაციო რესურსების სათანადო გამოყენების უზრუნველყოფა;

ვ) ინფორმაციის დაცვის სფეროში თანამშრომლებისათვის მათი ვალდებულებების გაცნობა;

ზ) ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოსათვის ანგარიშების, სხდომების ოქმებისა და დღის წესრიგის მომზადება.

*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 07.05.2013წ.*